



The European Union
for Georgia

EU4Justice: Support to Justice Reform



მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტი (2019 წლის თებერვლის მდგომარეობით)

პროფ. ჰანს ვ. მიცკლიტზ (Prof. Hans-W. Micklitz)

ევროპული საუნივერსიტეტო ინსტიტუტი ფლორენცია იტალია

იურიდიული მოსაზრება მომზადებული Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH EU დაფინანსებული პროექტისათვის

"კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში"

თებერვალი 2019

I.	ანალიზის საფუძვლები	2
II.	მანდატი და მიდგომა	3
II.	უარის თქმა და განმარტება.....	7
1.	2019 წლის კანონპროექტის სტრუქტურა	8
2.	სსკ-სთან შესაბამისობა.....	8
III.	2019 წლის კანონპროექტზე კომენტარები მუხლების მიხედვით.....	9
	მუხ. 1 კანონის მიზნები	9
	მუხ. 2 კანონის რეგულირების სფერო.....	9
	მუხ. 3. ტერმინთა განმარტება	10
	მუხ. 4 მომხმარებლის ზოგადი უფლებები.....	11
	მუხ. 5 ინფორმირების ზოგადი ვალდებულებები.....	11
	მუხ. 6 ინფორმაცია პროდუქტის ფასის შესახებ	12
	მუხ. 7 კომუნიკაციის საფასური.....	12
	მუხ. 8 სარეწის გარეთ დადებული და დისტანციური ხელშეკრულებები	12
	მუხ. 9 ინფორმირების ვალდებულება სარეწის გარეთ დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევაში.....	12
	მუხ. 10 სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების ფორმა	12
	მუხ. 11. მოთხოვნები დისტანციური ხელშეკრულებისათვის.....	12
	მუხ. 12 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.....	13

მუხ. 13 ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები	13
მუხ. 14. ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული გამონაკლისები.....	Error!
Bookmark not defined.	
მუხ. 15 მოვაჭრის ვალდებულებები სამომხმარებლო ნასყიდობისას	13
მუხ. 16 მომხმარებლის უფლებები სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულებისას....	14
მუხ. 17 კომერციული გარანტია	14
მუხ. 18 ხანდაზმულობის ვადები	14
მუხ. 19 მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევის შედეგები, გარანტიები	15
მუხ. 20 პროდუქტის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი.....	15
მუხ. 21 შესრულება და მიწოდება	15
მუხ. 22 ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო უსამართლო სტანდარტულ პირობათა ბათილობა.....	16
მუხ. 23 ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობების ბათილობა	16
მუხ. 24 უსამართლო კომერციული პრაქტიკის აკრძალვა.....	16
მუხ. 25 მოქმედებით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკა	16
მუხ. 26 უმოქმედობით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკა	17
მუხ. 27 აგრესიული კომერციული პრაქტიკა.....	17
მუხ. 28 კომერციული პრაქტიკა, რომელიც ყველა შემთხვევაში მიიჩნევა უსამართლოდ	17
მუხ. 29-36 აღსრულებაზე (N 34 და 35 არ არის მოცემული)	17
მუხ. 32 სანქციები.....	18
მუხ. 37 საზოგადოებრივი დაცვა (ნუმერაცია).....	18
მუხ. 36 კანონის ამოქმედება (ნუმერაცია)	19
IV. დასკვნები და რეკომენდაციები.....	19

I. ანალიზის საფუძველი

ანალიზი დაფუძნებულია მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტზე, რომელიც წარდგენილია ექსპერტებისათვის 2019 წლის 1 თებერვალს. ანალიზი ეფუძნება ექსპერტის მიერ ქვემოთ მოცემულ წინა მოსაზრებებს

) კანონპროექტის 2016 წლის ვერსიის სრულყოფილი ანალიზი, მომზადებული პროფ. როლფ კნიეპერთან (Prof. Rolf Knieper)

თანამშრომლობით 2017 წლის მარტში, კერძოდ შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით

-)] ლ. ჭანტურია/რ. კნიეპერი (L. Chanturia/R. Knieper), საქართველოს სამოქალაქო კდოექსის რეფორმა, კონცეფციის ქაღაღდი დანართებით, GIZ-ის სახელით, 2017 წლის თებერვალი და
-)] ს. მეღღერ-ჰანიჩი (C. Meller-Hannich), საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის კვლევა, ევროკავშირი საქართველოს ასოცირების შეთანხმების და ევროპული შეთანხმების შესაბამისად, მომზადებული GIZ-ისათვის, 2016 წლის სექტემბერი (დანართი 1)

2017 წლის მარტის შემდეგ, ექსპერტი ჩართული იყო 2016 წლის პროექტის გადახედვასა და ცვლილებებში.

2018 წლის კანონპროექტით (ივლისი 2018) გაანალიზებულია ბორჯომში ჩატარებული სამუშაო შეხვედრის მომზადება, რომელიც ჩატარდა 2018 წლის 28-29 ივლისს. ექსპერტმა მომზადა პრეზენტაცია, რომელიც ადარებს ორ კანონპროექტს და ამითი მიუთითებს დარჩენილი ხაზგეხების თაობაზე (დანართი 2)

-)] შესწორებული 2018 პროექტი (2018 წლის აგვისტო) გაანალიზებულია და კომენტარი გაკეთებული აქვს ექსპერტს პირდაპირ პროექტში ცვლილებებით
-)] შესწორებული 2018 წლის პროექტი (აგვისტო 2018) განხილული საპარლამენტო კომიტეტებთან 2018 წლის 2 ნოემბერს.

შესაბამისად, ამჟამინდელი პროექტი (თებერვალი 2019) წარმოადგენს ქართული პროექტის მეოთხე ვერსიას, რომლითაც საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანილია მომხმარებლის კანონის ის დირექტივები, რომლებიც ჩამოთვლილია ასოცირების შეთანხმებაში.

II. მანდატი და მიდგომა

2017 წლის TOR-იდან, რომელიც ფოკუსირებას ახდენდა მთლიანად 2016 წლის კანონპროექტის ანალიზზე, ასოცირების შეთანხმების კონტექსტში და ევროკავშირის სამომხმარებლო კანონმდებლობის კანონპროექტთან შესაბამისობაზე:

2. კონტექსტი:

პირველი და მე-5 შედეგის მიხედვით, პროგრამა ხელს უწყობს ქართულ მხარეს, რათა გააუმჯობესონ კერძო სამართლის სისტემა საკანონმდებლო ინიციატივების ევროპულ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან ფართოდ შესაბამისობით და რომ გაზარდონ შესაძლებლობები მტკიცებლბაზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებით, სტრატეგიული დაგეგმვით, კვლევით და ანალიზით კერძო სამართლის რეფორმირებისათვის.

საქართველოს სამომხმარებლო კანონის გაუმჯობესება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს, ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების პროცესისა და განსაკუთრებით

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფონზე. საქართველოს პარლამენტმა, ევროინტეგრაციის კომიტეტმა მოამზადა პროექტი და ინიცირება გაუკეთა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში კონსულტაციები პროექტის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

3. კონტრაქტორი შეასრულებს შემდეგ მომსახურებას:

1. ჩაატარებს ექსპერტიზას და მოამზადებს სამართლებრივ დასკვნას მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს კანონპროექტის ანალიზზე ევროკავშირის იმ დირექტივებთან შესაბამისობის კუთხით, რომლებიც სავალდებულოა საქართველოსთვის ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების თანახმად, ისევე როგორც ევროკავშირის “acquis” (მათ შორის ECJ-ის პრეცედენტული სამართალი) და ევროპული საუკეთესო პრაქტიკის კუთხით. კონტრაქტორი საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა ასევე შეეხოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.
2. სამართლებრივი მოსაზრება უნდა მოიცავდეს კანონპროექტის ანალიზს, ისევე როგორც რეკომენდაციებს მის გაუმჯობესებაზე.

2018 წლის TOR-ს ჰქონდა განსხვავებული სახე, ვინაიდან ის ახდენდა მარეგულირებელი გავლენის შეფასების ანგარიშის (RIA) კომბინირებას საქართველოს პარლამენტში მიმდინარე პროცედურების პროექტების მონიტორინგთან. წერის დროს, მოხდა RIA ანგარიშის დასრულება და წარდგენა საქართველოს პარლამენტისათვის. კავშირი RIA-სა და ამჟამინდელ საბოლოო ანგარიშს შორის არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან ის ახდენს ძლიერი და ინტენსიური ურთიერთკავშირის დოკუმენტირებას RIA ჯგუფებს, საპარლამენტო კომიტეტებს, GIZ-ის თანამშრომლებსა და ექსპერტებს შორის. შესაბამისად, საჭიროა, რომ მოხდეს ძლიერი ურთიერთკავშირის გაგება 2019 წლის კანონპროექტზე ამჟამინდელ ანგარიშსა და RIA ანგარიშს შორის. ორივე ერთობლივად წარმოადგენს სრულ სურათს საქართველოს მთავარი მიღწევების და დარჩენილი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შესახებ, როგორც ეს ასახულია ამჟამინდელ 2019 წლის კანონპროექტში. TOR-ში მოცემულია:

1. მოკლე ინფორმაცია პროექტის თაობაზე:

პროგრამა „ევროპულ სტანდარტებთან სამართლებრივი დაახლოება სამხრეთ კავკასიაში“ (LAtEst) ხელს უწყობს კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების სტრატეგიულ განვითარებას კანონის შერჩეულ სფეროებში და უზრუნველყოფს იურიდიულ რჩევებს და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებას EU-acquis-სთან სამართლებრივი დაახლოებისათვის, იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს წინსვლა და სახელმწიფო ინსტიტუტების და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება და მოხდეს უკეთესი შესაბამისობა ევროკავშირის დირექტივებთან და კანონის

უზენაესობის პრინციპებთან. 2017 წლის თებერვლიდან, LAtESt იძენს ახალ კომპონენტს საქართველოში იურიდიული რეფორმის საკონსულტაციო მომსახურების კუთხით, და ყურადღებას ამახვილებს საქართველოში სამართალშემოქმედების პროცესის შესაბამისობაზე 2030 დღის წესრიგის განხორციელებასთან. კომპონენტი ხელს უწყობს მარეგულირებელი შედეგის შეფასების (RIA), როგორც საქართველოში სამართალშემოქმედების სისტემის განუყოფელი ნაწილის ჩამოყალიბებას. RIA+ არის შეფასების სისტემა, რომელიც ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ახალი კანონმდებლობის შედეგებზე, რათა მიაღწიოს 2030 დღის წესრიგს საქართველოში. უფრო კონკრეტულად, ეს მოიცავს სინერჯის შესწავლას და შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნების გაცვლას (SDGs) და ბალანსირებული გავლენის შეფასებას მდგრადობის სამივე განზომილებასთან ერთად (ეკონომიკური, სოციალური და გარემოს). მათი სამეცნიერო და კვლევითი შესაძლებლობების მხედველობაში მიღებით, LAtESt აღიქვამს მაღალ საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშეს RIA+ გატარებაში. უკეთესი რეგულირებისა და საკანონმდებლო პროცესების უნარებში მათი შესაძლებლობების უფრო მეტად გაფართოებისათვის, LAtESt ხელს უწყობს უნივერსიტეტების ჯგუფებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტირებაში, RIA+ სხვადასხვა თემებზე ჩატარებით, რომელიც მიღებული აქვთ 2017 წლის პროგრამით ჩატარებული ToT ტრენინგებიდან.

2. კონტექსტი:

მომხმარებლის კანონის გაუმჯობესება არის საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი ევროკავშირთან სამართლებრივად დაახლოების პროცესში და უფრო ზუსტად საქართველო ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების კუთხით. საქართველოს პარლამენტმა, ევროინტეგრაციის კომიტეტმა, მოამზადეს საქართველოს კანონპროექტი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ. კანონპროექტი გადასინჯულ იქნა საერთაშორისო ექსპერტების მიერ, რომელთა რეკომენდაციებმაც ამჟამად განიხილავს ევროინტეგრაციის კომიტეტი. შესაბამისად, კონსულტირება სამომხმარებლო უფლებების დაცვის სფეროში პროექტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. უფრო მეტიც, მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის ეკონომიკურ განვითარებაზე, სოციალურ და გარემოს დაცვაზე დადებითი და უარყოფითი გავლენების შესაფასებლად და მოხმარებელთა უფლებების დასაცავად მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტმა მიმართა LAtESt-ს მოთხოვნით, რომ ჩაეტარებინათ კანონპროექტის მარეგულირებელი ზემოქმედების შეფასება. პილოტურ RIA+

მომხმარებელის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტი ჩატარდება უნივერსიტეტების ToT ჯგუფების მიერ 2018 წლის ივნისი-დეკემბრის განმავლობაში.

3. კონტრაქტორი განახორციელებს შემდეგ მომსახურებას:

1. ხელს შეუწყობს მომხმარებელის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის მარეგულირებელი გავლენის შეფასების (RIA+) ჩატარებას უნივერსიტეტების ჯგუფების მიერ საერთაშორისო ექსპერტის მოსაზრებასთან ერთად (სამართლებრივი მოსაზრების სავარაუდო მიწოდების თარიღი - 2018 წლის ივნისი -ნოემბერი). ამ მიზნით, ექსპერტმა უნდა:

1.1. მიიღოს მონაწილეობა ორ დღიან სამუშაო შეხვედრაში RIA-ზე უნივერსიტეტის ToT ჯგუფის წევრებთან და ევროინტეგრაციის კომიტეტის თანამშრომლებთან ერთად (სამუშაო შეხვედრის სავარაუდო თარიღი 2018 წლის 28-29 ივლისი);

1.2. მიიღოს მონაწილეობა ორდღიან სამუშაო შეხვედრაში ევროინტეგრაციის კომიტეტთან ერთად, რათა მოხდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის დასრულება (სამუშაო შეხვედრის სავარაუდო თარიღები 2018 წლის 30-31 ივლისი)

1.3. მიიღოს მონაწილეობა ოთხ დღემდე სამუშაო შეხვედრაში იმ ჯგუფთან ერთად, რომელიც ამზადებს RIA+-ს და მომხმარებელის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტს (სამუშაო შეხვედრის სავარაუდო თარიღები - 2018 წლის ოქტომბერი (გადასაწყვეტია));

1.4. უზრუნველყოს უნივერსიტეტების ToT ჯგუფების მიერ მომზადებული შემდგომი RIA+ნაბიჯების მხარდაჭერა (წერა, კომენტირება, ხარისხის შემოწმება ა) RIA+-ის პრობლემების განმარტება და მიზნების განმარტება; ბ) პოლიტიკის ოფციების განმარტება, ოფციების სიღრმისეული ანალიზი და შედარება; გ) RIA+ საბოლოო ანგარიში.

1.5 შეადგინოს ტექსტები RIA-ს ანგარიშის ყველა თავზე (შეავსოს გამოტოვებული ნაწილები, შეადგინოს დაუწერელი ნაწილები, მოახდინოს სრული შინაარსის რედაქტირება)

5. მისაწოდებელი მასალა:

ექსპერტის მიერ მიწოდებულ უნდა იქნას შემდეგი:

ა. მონაწილეობა მიიღოს ორდღიან სამუშაო შეხვედრაში RIA-ზე უნივერსიტეტების ToT ჯგუფებთან და ევროინტეგრაციის კომიტეტის თანამშრომლებთან ერთად საქართველოში, 2018 წლის ივლისში

ბ. მონაწილეობა მიიღოს ორდღიან სამუშაო შეხვედრაში ევროინტეგრაციის კომიტეტთან ერთად, რათა მოხდეს მომხმარებელთა

უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის დასრულება, საქართველოში, 2018 წლის ივლისში;

გ. მონაწილეობა მიიღოს ოთხ დღემდე სამუშაო შეხვედრაში RIA+ -სა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის შემმუშავებელ გუნდთან ერთად, საქართველოში, 2018 წლის სექტემბერში;

დ. პრობლემის განმარტება და ინტერვენციის მიზნების განმარტება წერილობითი ფორმით (RIA);

ე. წერილობითი კომენტარები RIA+ -ს და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონპროექტის შემდეგ ნაბიჯებზე: პოლიტიკის ოფციები, ოფციების სიღრმისეული ანალიზი და შედარება;

II. უარის თქმა და განმარტება

წინამდებარე ანალიზი არ გაიმეორებს იმას, რაც ფართოდ იყო განხილული, ძირითადად

- ⌋ მიზანშეწონილია თუ არა მომხმარებელთა კანონის ინტეგრაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ან დამოუკიდებლად მდგომი მომხმარებელთა კოდექსის მიღება. ექსპერტებმა გამოხატეს მოსაზრებები და მათი შეშფოთება სამომხმარებლო კოდექსით წესების პოტენციურად დუბლირებასთან დაკავშირებით და პოტენციური სირთულეების და გაურკვევლობების თაობაზე.
- ⌋ ეს არის საქართველოს და საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტი, რომელიც ყველაზე შესაფერისი გზა, რომელიც ეხმიანება საქართველოს საჭიროებებს. როგორც ჩანს, თუ საქართველო მიიღებს ცალკე მდგომ მომხმარებლის სამართლის კოდექსს, ექსპერტს შეეძლება განიხილოს პოტენციური შეუსაბამობები.

წინამდებარე ანალიზი ფოკუსირებას გააკეთებს დარჩენილ მთავარ საკითხებზე. ანგარიში კვლავ არ განიხილავს წინამდებარე კანონპროექტის ფონზე ევროპის მოთხოვნების ყველა დეტალს. პირველი და უმთავრესი არ არის ამის საჭიროება. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უზარმაზარი ძალისხმევა განახორციელა 2016 წლის კანონპროექტის ევროპული სამართლის მოთხოვნებთან წარმატებით შესაბამისობაში მოსაყვანად. თოთოეული ახალი რედაქცია მოდიოდა უფრო მეტად შესაბამისობაში ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

2019 წლის კანონპროექტი, არსებული რედაქციით, ახდენს შემდეგი დირექტივების იმპლემენტირებას:

- 2011/83 დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ ზოგადი ინფორმაციის, დისტანციურ გაყიდვისა და სარეწის გარეთ გაყიდვის თაობაზე
- 99/44 წლის დირექტივა სამომხმარებლო გაყიდვების თაობაზე
- 93/13 დირექტივა არაკეთილსინდისიერ პირობებზე

- 2005/29 დირექტივა კომერციულ პრაქტიკაზე
- 93/13, 2005/29, 2009/22 დირექტივები აღსრულებასთან დაკავშირებით

ევროპული სამომხმარებლო კანონმდებლობა ბევრად უფრო ყოვლისმომცველია. ამჟამინდელი კანონპროექტი არ არეგულირებს ფინანსურ მომსახურებებს, არც პაკეტურ ტურებს, დროის განაწილებას, მომხმარებელთა წესებში ჩაურევლობას რეგულირებულ ბაზარზე - ტელეკომი, ენერგეტიკა, ტრანსპორტი. ამჟამინდელი კანონპროექტი არ არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან მომხმარებელთა კანონის რეგულირებას ელექტრონული დავების მოგვარებაში და დირექტივას დავების ალტერნატიული გადაწყვეტის შესახებ. ცალკე დოკუმენტში, რომელიც დაემატა 2017 წლის ანგარიშს, ექსპერტმა მოამზადა სამომხმარებლო სამართლის არსებული ორგანოს მიმოხილვა, მათი შინაარსის მოკლე შეჯამებით, იმისგან დამოუკიდებლად შესაბამისი წესები წარმოადგენს თუ არა ასოცირების შეთანხმების ნაწილს. დოკუმენტი (დანართი III ევროკავშირის მომხმარებელთა კანონის მიმოხილვა 2017 წლის მარტი)) შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობისთვის სასარგებლო შემდგომ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებას.

შესაბამისად, მოცემული ანგარიში შემოიფარგლება ჩამოთვლილი დირექტივის იმპლემენტაციით. მთლიანობაში, მტკიცედ უნდა იყოს ყურადღება გამახვილებული, რომ 2019 წლის კანონპროექტი

- ✓) საერთო ჯამში შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითად მოთხოვნებს
- ✓) მცირე ცვლილებების გათვალისწინებით
- ✓) მზად არის მისაღებად საქართველოში.

1. 2019 წლის კანონპროექტის სტრუქტურა

კანონპროექტი ითვალისწინებს დამაჯერებელ სტრუქტურას, რომელიც ჩაშლილია X თავად, როგორც ეს შეთანხმებული იყო ბორჯომში გამართული შეხვედრის დროს. ახალი სტრუქტურა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კანონზე ხელმისაწვდომობას, ზოგად წესებს შორის განსხვავებით, რომელიც მოცემულია I თავში, ზოგადი ინფორმაციის მოთხოვნები, რომელიც გავლენას ახდენს ყველა სახის ხელშეკრულებაზე, ახლა ასევე მოიცავს წესებს ფასების განსაზღვრის თაობაზე, თავი II, კონკრეტულ წესებს ხელშეკრულების გაფორმების პირობების შესახებ სარეწის გარეთ დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების მეშვეობით და ხელშეკრულებიდან გასვლას, თავი III და IV. თავი V ეხება სამომხმარებლო ნასყიდობას და მომსახურების ხელშეკრულებებს, თავი VI არაკეთილსინდისიერ პირობებს, თავი VII კომერციულ პრაქტიკას, თავი VIII აღსრულებას, თავი IX არასამთავრობო ორგანიზაციებს, თავი X ამოქმედების პროცედურას.

2. სსკ-სთან შესაბამისობა

2019 წლის კანონპროექტის შესაბამისობა სსკ-სთან ჩანს შემდეგ საკითხებთან მიმართებაში (იხილეთ მოსაზრება 2017 წლის მარტიდან):

- J ეს არის სადაც მომხმარებელი არის მკაფიოდ ნახსენები: ხელშეკრულების დადების ვალდებულება (მუხ. 319. 3 სსკ) ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები (336 სსკ), არაკეთილსინდისიერი პირობები (342-348), სამომხმარებლო კრედიტი (370 სსკ),
- J ქვემოთ მოცემულია მუხლები, სადაც მომხმარებელი არ არის მკაფიოდ ნახსენები: ტურიზმი – მგზავრი (657 GCC), წუნდებული პროდუქტის პასუხისმგებლობა (1009-1016) სსკ და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების კოდექსის 5-8 მუხ).
- J ამ წესების სამიზნე არ არის მომხმარებელი, მაგრამ იცავს მას, მაგ მუხლი. 55 და 319.2 საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება; მუხ. 81 მოტყუებით დადებული გარიგება; მუხ. 318 ინფორმაციის გაცემის ვალდებულება; მუხ. 380 ვალდებულების შესრულების ხარისხი

გარდა ამისა, მომხმარებელთა უფლებების 99/44 დირექტივის სრული ინტეგრაციით, სსკ-ზე გავლენა უფრო ძლიერია

- J ნასყიდობის ხელშეკრულების წესებით მუხ. 477-505 სსკ
- J ხანდაზმულობის ვადებით მუხ. 139 სსკ

III. 2019 წლის კანონპროექტზე კომენტარები მუხლების მიხედვით

უარის თქმა: მე არ მოვახდენ კომენტარებს ინგლისურ თარგმანზე. ეს ნამდვილად იქნება ძალიან საჭირო, თუ საბოლოო აქტი მიღების შემდეგ იქნება გასწორებული მშობლიურ ენაზე მოსაუბრის მიერ.

სადაც საჭიროა, მე მივუთითებ RIA-ზე იმისათვის, რომ ხაზი გავუსვა ქართველ მომხმარებელზე, ქართველ მოვაჭრეზე და უფრო ზოგადად ქართულ ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე უფრო ფართო პოტენციურ გავლენაზე.

მუხლი. 1 კანონის მიზანი

კომენტარის გარეშე.

მუხლი. 2 კანონის რეგულირება

მუხლი. 2 განმარტავს კანონის ფარგლებს და არის ძალიან მგრძობიარე მუხლი.

მე-2 მუხლის მე-3 და მე- პუნქტებს შორის ურთიერთქმედებისას: მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ათავისუფლებს ადგილების რაოდენობას, რომელიც ყურადღებით არის ჩამოთვლილი და ნათლად აღნიშნავს, რომ წესები არაკეთილსინდისიერ პირობებთან და კომერციულ პრაქტიკასთან დაკავშირებით რჩება გამოსაყენებელი. ეს შესაბამისობაშია შესაბამისი ორი დირექტივის მოთხოვნებთან, ერთი რომელიც

ეხება არაკეთილსინდისიერ პირობებს 93/13 და კომერციულ პრაქტიკას 20005/29. ევროკავშირის პრაქტიკაში ეს ორი დირექტივა, გამოყენების ჰორიზონტალური ჩარჩოს გამო გახდა ევროკავშირის რეგულაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. ქართული მიდგომა არის ძალიან დაფასებული.

თუმცა, არსებობს გარკვეული გაღიზიანება მე-3 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, კანონი ათავისუფლებს ყველა იმ მოვაჭრეს, რომელიც მოქმედებს "საჯარო ავტორიზაციის" საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დეტალების ცოდნის გარეშე, ხაზგასმული უნდა იყოს, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა არ იწყებს კომპანიის სტატუსიდან, მაგრამ იქიდან, თუ როგორ იქცევა კომპანია ბაზარზე. საჯარო პირი ან მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს საჯარო ავტორიზაციის საფუძველზე, მაგრამ რომელიც ბაზარზე თავს კონკურენტად წარადგენს, ან უფრო ზოგადად მიზნად ისახავს მოგების მიღებას ჯდება შესაბამისი დირექტივების ფარგლებში.

უფრო ზუსტად, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების ფარგლები და წვდომა არ არის ბოლომდე ნათელი და შესაძლებელია შესაბამისობაში იქნას მოსაყვანი მომხმარებელთა უფლებების 2011/83 დირექტივის მე-3 მუხლის (3) 1) და მ)-ის შესაბამის წესებთან.

Art. 3. ტერმინთა განმარტება

2019 წლის კანონპროექტი მოიცავს ტერმინთა განმარტების უფრო ფართო ჩამონათვალს, ვიდრე წინა ვერსია. ვინმეს შეიძლება აინტერესებდეს, თუ რა ზომით უნდა იყოს ტერმინთა განმარტებაში დამატებული სარეწის გარეთ დადებული და დისტანციური ხელშეკრულებები, მოცემული მე-8 მუხლში.

უფრო დიდი მნიშვნელობის არის ის, რომ არ არის მოცემული მოწყვლადი მომხმარებლის განმარტება. 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი მოიცავს არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის განმარტებას 2005/29 დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, RIA ყოველმხრივ განიხილავს ეკონომიკური და სოციალური სისუსტეების გათვალისწინების საჭიროებას და ადვოკატირებას უწევს მოწყვლადი მომხმარებლის შემოტანას კანონპროექტში, როგორც საერთო ნიშნულის, მისი გამოყენების ფარგლებში.

ევროკავშირის კანონმდებლობის პერსპექტივიდან შესაძლებელია მოხდეს განსხვავება საშუალო და მოწყვლად მომხმარებელს შორის. ევროკავშირის დირექტივების დიდი ნაწილი, კვლავ მოიცავს მინიმალურ დაცვის დონეს, ეს მოცემულია არაკეთილსინდისიერი პირობების 93/13 დირექტივაში და სამომხმარებლო ნასყიდობის 2005/29 დირექტივაში. როდესაც საქმე ეხება სრულ ჰარმონიზაციას, 2005/29 წლის დირექტივა გვთავაზობს ზემოაღნიშნულ განსხვავებას, 5 (3) მუხლი გადატანილ იქნა კანონპროექტის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტში. მომხმარებელთა უფლებების დირექტივა ეხება ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას, დისტანციური და სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებები

ეყრდნობა სრულ ინფორმაციას, მაგრამ მოიცავს გარკვეულწილად ბუნდოვან ჩანაწერს (34), რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

მოვაჭრემ უნდა მისცეს მომხმარებელს ნათელი და გასაგები ინფორმაცია, მანამდე სანამ მომხმარებელი შებოჭილი იქნება დისტანციური და სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებით, სხვა ხელშეკრულებით გარდა დისტანციური და სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებისა, ან სხვა შესაბამისი შეთავაზებით. ამ ინფორმაციის მიწოდებისას, მოვაჭრემ მხედველობაში უნდა მიიღოს იმ მომხმარებლის სპეციალური საჭიროებები, რომლებიც განსაკუთრებულად მოწყვლადნი არიან მათი მენტალური, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ავადმყოფობის, ასაკის ან კრედიტურობის გამო, იმ გზით, რომელიც მოვაჭროსათვის გონივრულად მოსალოდნელი იყო, რომ განეჭვრიტა. თუმცა, ასეთი კონკრეტული საჭიროებების მხედველობაში მიღებამ, არ უნდა გამოიწვიოს მომხმარებელთა უფლებების სხვადასხვა დონეზე დაცვა.

ევროკავშირს განსხვავებაზე პასუხისმგებლობას გადააქვს მოვაჭრეზე, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედების თავისუფლებას წევრი ქვეყნებისათვის იმპლემენტაციაში. ამიტომ, უბრალოდ ჩანს, რომ წევრი სახელმწიფოები შესაძლოა დაეყრდნონ ორმაგ სტანდარტებს, ერთი საშუალო მომხმარებლისთვის და მეორე მოწყვლადი მომხმარებლისთვის. ეს გამორიცხავს, მომხმარებელის კანონის წესების ერთი ნიშნულისთვის მიზმას, როგორც ეს შემოთავაზებულია RIA-ს მიერ.

მოქმედების თავისუფლებისა და RIA ანგარიშის ფონზე, მიზანშეწონილია, რომ მოხდეს მოწყვლადი მომხმარებლის განმარტების განზოგადება და რომ მოხდეს განმარტების მე-3 მუხლის ნაწილად ქცევა. ეს საშუალებას მისცემს მოსამართლეებს განასხვავონ მოცემულ შემთხვევაში და მხედველობაში მიიღონ მომხმარებლის განსხვავებული შესაძლებლობები.

მუხ. 4 მომხმარებლის ზოგადი უფლებები

საშუალო და მოწყვლად მომხმარებელს შორის ზემოხსენებული დიფერენცირების ფონზე, შესაძლოა მისაღები იყოს მე-4 მუხლში მე-3 პუნქტის შემოღება, რომელიც 2011/83 დირექტივის 34-ე ჩანაწერს თარგმნის მოვაჭრის ვალდებულებად, შემდეგი სიტყვებით:

მე-5 მუხლში გათვალისწინებული ინფორმაციის მოწოდებისას, მოვაჭრემ მხედველობაში უნდა მიიღოს მომხმარებელთა კონკრეტული საჭიროებები, რომლებიც არიან განსაკუთრებით მოწყვლადნი მათი მენტალური, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური სისუსტის, ასაკის ან კრედიტურობის გამო, იმ გზით, რომელიც მოვაჭრისათვის, შესაძლებელი იყო გონივრულად მოსალოდნელი ყოფილიყო.

მუხ. 5 ინფორმირების ზოგადი ვალდებულებები

კომენტარის გარეშე

RIA ანგარიში განიხილავს იმ ინფორმაციის სახეს, რომელიც მიწოდებული უნდა იყოს მომხმარებლისთვის და ავლებს ზღვარს საშუალო და მოწყვლად მომხმარებელს შორის. მთლიანობაში RIA ანგარიში ხელს უწყობს მოწყვლად მომხმარებელს, როგორც სათანადო ნიშნულს.

Art. 6 ინფორმაცია პროდუქტის ფასის შესახებ

2019 წლის კანონპროექტი სწორად აერთიანებს ინფორმაციას პროდუქტის ფასების შესახებ II თავში. შესაბამისი 98/6 დირექტივა არეგულირებს მხოლოდ პროდუქტის ფასს და არ არეგულირებს ინფორმაციას ფასების მომსახურების შესახებ. ევროკავშირის სამართალი მოიცავს კონკრეტულ წესებს მთელი რიგი მომსახურების ხელშეკრულებებისათვის, როგორცაა დროის განაწილება, პაკეტური ტურები, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ტელეკომი.

ვინმეს შეიძლება მაინც აინტერესებდეს, როგორ და რა ფარგლებში არის შესაძლებელი მომსახურების ფასების შესახებ ზოგადი მოთხოვნების დანერგვა. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან კანონპროექტი ეხება მომსახურებას, რაღაც ფარგლებში მაინც, იხ. თავი V. იმდენად, რამდენადაც, საქართველოს კანონმდებელი არ არის ვალდებული ასოცირების შეთანხმებით.

მუხ. 7 კომუნიკაციის საფასური

კომენტარის გარეშე.

მუხ. 8 სარეწის გარეთ დადებული და დისტანციური ხელშეკრულებები

კომენტარის გარეშე.

მუხ. 9 ინფორმირების ვალდებულება სარეწის გარეთ დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევაში

კომენტარის გარეშე.

მუხ. 10 სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების ფორმა

კომენტარის გარეშე.

მუხ. 11. მოთხოვნები დისტანციური ხელშეკრულებისათვის

კომენტარის გარეშე

მუხ. 12 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

კომენტარის გარეშე.

RIA ანგარიში განიხილავს 14 დღეს პლიუს 14 დღის ლოგიკას, 14 დღეს უარის თქმისთვის და 14 დღეს დაბრუნებისთვის. ანგარიში მიდის დასკვნამდე, რომ დაბრუნების პერიოდი უნდა შემცირდეს შვიდ დღემდე. დადებითი და უარყოფით მხარეები, ისევე როგორც გავლენა განხილულია ანგარიშში.

მუხ. 13 ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

დირექტივის წესების იმპლემენტირება არ არის დასრულებული. აკლია წესი, დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე. ეს არის რასაც 2011/83 დირექტივის მე-15 მუხლი ამბობს:

მუხლი 15

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგი დამხმარე ხელშეკრულებებში

1. ევროპარლამენტის 2008/48/EC დირექტივის მე-15 მუხლისა და მომხმარებელთა საკრედიტო ხელშეკრულებების საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის დირექტივისათვის ზიანის მიყენების გარეშე (1), თუ მომხმარებელი გამოიყენებს მის უფლებას, უარი თქვას დისტანციურ და სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე დირექტივის 9-14 მუხლების შესაბამისად, ნებისმიერი დამხმარე ხელშეკრულება ავტომატურად უნდა შეწყდეს, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც მოცემულია დირექტივის 13(2) და 14 მუხლებში.

2. წევრმა ქვეყნებმა უნდა ჩამოაყალიბონ ასეთი ხელშეკრულებების შეწყვეტის დეტალური წესები.

ეს მუხლი გამოიყენება, მომხმარებლის კრედიტის დირექტივის გადატანისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რომელიც არ წარმოადგენს კანონპროექტის ფარგლების ნაწილს. ამიტომაც კანონპროექტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს წესები, რომელიც გავლენას მოახდენს დამხმარე ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

მუხ. 14. ხელშეკრულებაზე უარის თქმისთან დაკავშირებული გამონაკლისები

კომენტარის გარეშე.

მუხ. 15 მომხმარებლის უფლებები სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულებისას

2019 წლის კანონპროექტში შეიცვალა პარაგრაფების რიგითობა, ასევე ენაც. წინა 14-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ეხლა გახდა მე-15 მუხლის მე-5 პარაგრაფი დამახინჯებული ენით. ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნებოდა წინა ვერსიასთან დაბრუნება. თუ კომიტეტი გადაწყვეტს გათავისუფლების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტში ჩართვას, მე გთავაზობთ უფრო მჭიდრო მუშაობას 99/44 დირექტივის მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფთან.

RIA ანგარიში გვაწვდის ფართო ინფორმაციას იმპემენტაციის შესაძლო გავლენაზე მომხმარებელზე, მოვაჭრეზე, ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე. RIA ანგარიში უთითებს სამომხმარებლო პროდუქტების ორი ბაზრის არსებობაზე, ერთი იმპორტირებული პროდუქტი საშუალო მომხმარებლისთვის და მეორე ძირითადად ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქტები მოწყვლადი მომხმარებლისთვის. მთლიანობში RIA ანგარიში მიდის დასკვნამდე, რომ კანონპროექტი არის კარგად დაბალანსებული.

მუხ. 16 მომხმარებლის უფლებები სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულებისას

საბედნიეროდ, 2019 წლის კანონპროექტმა ჩაშალა წინა მე-14 მუხლი ორ ცალკე მუხლად, შესაბამისად გაზარდა მისი წაკითხვაუნარიანობა.

მე-15 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტები შესაძლოა არ იყოს საჭირო. მე-8 პუნქტი ნათლად ამბობს, მე-9 პუნქტი არ გვეხმარება იმ პირობების განმარტებაში, როდესაც ხარჯები ახდენს მომხმარებლის უფლების შეზღუდვას.

მუხ. 17 კომერციული გარანტია

მე-17 მუხლი არის ახალი, ის არ იყო მოცემული წინა წლის ვერსიაში. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დაბნეულობა გარანტია- იურიდიული გარანტიასა და გარანტია-კომერციულ გარანტიას შორის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ნათლად უნდა აკეთებდეს მითითებას მე-16 მუხლზე.

მუხ. 18 ხანდაზმულობა

პრობლემაა, თუ ეს 2 წლიანი პერიოდი რაში მდგომარეობს. ნიშნავს თუ არა რომ მე-18 მუხლი არეგულირებს გარანტიის პერიოდს თუ ხანდაზმულობას? კანონპროექტის ინგლისური ვარიანტი საუბრობს ხანდაზმულობაზე. ამ შემთხვევაში, ევროპული სამართალი მოითხოვს მინიმუმ 2 წელს მიწოდების მომენტიდან, იმ მომენტიდან როდესაც ის გადავა მომხმარებლის ფიზიკურ საკუთრებაში.

მე-18 მუხლი დაწყების მომენტს განსაზღვრავს, როგორც გამჟღავნების მომენტს. სსკ-ის 130-ე მუხლი შემდეგია:

მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

შესაბამისად, არის შეუსაბამობა ორ წესს შორის, კანონპროექტის მე-18 და სსკ-ის 130-ე მუხლებს შორის. ფორმულირება პირდაპირ უნდა უთითებდეს სსკ-ის 130-ე მუხლზე. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობა მომხმარებელთა ხელშეკრულებებში იქნება 2 წელი, ნაცვლად 3 წლისა ხ2ხ ხელშეკრულებებში. თუმცა, წინა არის სავალდებულო, და არ შეიძლება ამოღებულ იქნას, მაშინ როცა ბოლო არის მხარეთა შორის შეთანხმების საგანი.

უნდა მოხდეს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის პერიფრაზირება. ასეთი ტერმინები ბათილია, ისინი არ ითვლება ბათილად. ეს არის ნათლად მოცემული 99/44 დირექტივის მე-7 მუხლში 'არ უნდა იყოს სავალდებულო'.

2 წლიანი პერიოდის იმპლემენტირება იწვევს მნიშვნელოვან შეშფოთებას და წარმოადგენს RIA ანგარიშის ერთ-ერთ ქვაკუთხედს. ანგარიში ხაზს უსვამს დაბნეულობას გარანტიის პერიოდსა და ხანდაზმულობას შორის და აანალიზებს მომხმარებლის აღდგენა თუნდაც ორწლიანი ვადის გაგრძელების პოტენციურ ხარჯებთან დაკავშირებით. მთლიანობაში, ანგარიშის მიერ ორწლიანი პერიოდი გაგებულია, როგორც კარგად დაბალანსებული კომპრომისი.

მუხ. 19 მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევის შედეგები, გარანტიები

მე-19 მუხლი წვდება „acquis communautaire“-ის, ევროპული მომხმარებლის კანონის არსებული ორგანოს მიღმა. იურიდიული გარანტიის მომსახურების ხელშეკრულებებზე გავრცელება, შესაბამისობაშია სხვა ქვეყნების მომხმარებელთა კოდექსებთან, როგორცაა მაგალითად ფინეთი.

თუმცა, მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი მე-16 მუხლის მე-2 პუნქტთან, რათა დავრწმუნდეთ, რომ ხანდაზმულობის პერიოდის დასაწყისი ორივე ხელშეკრულებაში არის იგივე.

მუხ. 20 პროდუქტის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი კომენტარის გარეშე.

მუხ. 21 შესრულება და მიწოდება

კომენტარის გარეშე.

მუხ. 22 ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო უსამართლო სტანდარტულ პირობათა ბათილობა

22-ე მუხლი მიზნად ისახავს 93/13 დირექტივის იმპლემენტაციას. სსკ-ის 342-348-ე მუხლები მოიცავს ზოგად წესებს სტანდარტული პირობების ბუნებასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, მათი ჩართვა, ინტერპრეტაცია, ზოგადი სამართლიანობის ტესტი და ტერმინების ორი სია, რომელიც განიხილება ბათილად (მუხ. 347) ან მიიჩნევა ბათილად (მუხ. 348) იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას (მომხმარებლები).

განახლებული 22-ე მუხლი ითვალისწინებს სსკ-ის წესებს და აზუსტებს მათ 93/13 დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, რჩება ერთი პრობლემა:

22-ე მუხლის მე-5 პუნქტი არ არის შესაბამისობაში ევროკავშირის სამართალთან და უფრო კონკრეტულად ECJ-ს პრეცედენტულ სამართალთან. **Intransparent** პირობები ბათილია, მათი შენარჩუნება ვერ მოხდება განმარტებით. ამდენად, წინადადების ბოლო ნაწილი ამოღებულ უნდა იქნას. ე.წ. “contra proferentem” წესი კვლავ გამოიყენება, მაგრამ შესაძლოა დაყრდნობა, სსკ-ის 342-348-ე მუხლებზე.

მუხ. 23 ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობების ბათილობა

კომენტარის გარეშე.

მუხ. 24 უსამართლო კომერციული პრაქტიკის აკრძალვა

მცირე კომენტარი.

24-ე მუხლის მე-5 პუნქტი უთითებს კანონპროექტის 28-ე მუხლზე, აკრძალული პრაქტიკის ჩამონათვალი, არა 26-ე მუხლზე.

მუხ. 25 მოქმედებით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკა

25-ე მუხლი არ ახორციელებს მითითებას მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, შეცდომაში შემყვან ინფორმაციაზე ქცევის კოდექსებში.

ეს მიუთითებს იმპლემენტაციის ხარვეზზე. ევროკავშირის მოთხოვნები ქცევის კოდექსზე არ არის მოცემული კანონპროექტში. ეს როგორც ჩანს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ვინაიდან კოდექსები და მათი მონიტორინგი

კონკურენციის ორგანოების მიერ, შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი საშუალება შესაძლო დარღვევების მონიტორინგისა და ზედამხედველობის კუთხით.

მუხ. 26 უმოქმედობით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკა

კომენტარის გარეშე.

მუხ. 27 აგრესიული კომერციული პრაქტიკა

კომენტარის გარეშე.

თუმცა, RIA ანგარიში აწვდის ფართო ინფორმაციას აგრესიულ რეკლამირებასთან დაკავშირებით და საჭიროებასთან დაკავშირებით, რომ მოხდეს ნიშნულის მოწყვლად მომხმარებელთან დაკავშირება.

მუხ. 28 კომერციული პრაქტიკა, რომელიც ყველა შემთხვევაში მიიჩნევა უსამართლოდ

მცირე კომენტარი.

28-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი უთითებს 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომელიც არ არსებობს. ნიშნავდა თუ არა რომ ეს უნდა ყოფილიყო ქცევის კოდექსის დასაერგულირებელი?

RIA ანგარიში რეკომენდაციას იძლევა გაფართოვდეს აგრესიული პრაქტიკის სია, რომელიც უნდა იყოს აკრძალული. ანგარიში გვთავაზობს ფართო დისკუსიას ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ და მათი სტრატეგიის შესახებ, რომ მოხდეს აგრესიული კომერციული პრაქტიკის ცნების ფორმირება.

მუხ. 29-36 აღსრულებაზე (N 34 და 35 არ არის მოცემული)

მთლიანობაში, აღსრულების მუხლები შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ევროკავშირი ადგენს მხოლოდ შეზღუდულ სტანდარტს აღსრულებასთან დაკავშირებით:

- ⌋ პირველი არის არჩევანი საჯარო აღსრულებასა და კერძო აღსრულებას შორის. კანონპროექტი ირჩევს საჯარო აღსრულებას და ძალაუფლებას აძლევს უკვე არსებულ კონკურენციის ორგანოს
- ⌋ მეორე არის სასამართლო აკრძალვის ქმედების მოთხოვნა, რომელიც კომბინირებულია სასამართლო აკრძალვის გამოცემის შესაძლებლობასთან.

რამდენიმე მცირე შენიშვნა:

- ქ) კანონპროექტის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ეხება თანამშრომლობის საჭიროებას იმ შემთხვევაში თუ სხვადასხვა სააგენტოს შესაძლოა ჰქონდეს ერთნაირი კომპეტენცია. თუმცა, ყურადღება გამახვილებულია მომხმარებელთა უფლებებზე და არა ადამიანის უფლებებზე. ეს შესაძლოა იყოს უბრალოდ ხარვეზი.
- ქ) 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი უთითებს ქცევის კოდექსებზე. ევროკავშირის 2005/29 დირექტივა არაკეთილსინდისიერ კომერციულ პრაქტიკაზე უზრუნველყოფს მითითებას, თუ რა შეიძლება გაგებულ იქნას ქცევის კოდექსით. განხორციელების ეს ხარვეზი საჭიროებს შევსებას კანონპროექტის სათანადო აღსრულების უმნიშვნელოვანესი როლის გათვალისწინებით.
- ქ) 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ეხება ყველაზე ცნობილ და და ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას, რომელიც გათვალისწინებულია ევროკავშირის კანონმდებლობით - აკრძალვის ქმედება. შესაძლოა მოსახერხებელი იყოს, რომ ამ საშუალებას მიენიჭოს უფრო მნიშვნელოვანი ადგილი კანონპროექტში
- ქ) შემოთავაზებულია, სამოქმედო გეგმის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც წინასწარ განაცხადებს თუ რის განხორციელებას გეგმავს კონკურენციის სააგენტო მომავალ წელს (ფოკუსი სექტორებზე, რეკლამირების კონკრეტულ სახეზე ან არაკეთილსინდისიერ პირობებზე და ა.შ.). ეს იქნება სასარგებლო საშუალება ბიზნესსა და მომხმარებლებთან ნდობის მოსაპოვებლად.

მუხ. 32 სანქციები

ასევე ეს საქართველოს გადასაწყვეტია, რა სახის სანქციებს გაითვალისწინებს კანონი. არის ნათელი ტენდენცია მომხმარებელთა კანონში ადმინისტრაციული ჯარიმის შემოღების. ეს საკმარისია რომ მოხდეს კომისიის შეთავაზების გამოხმობა მომხმარებლებთან ახალი გარიგებისათვის.

RIA ანგარიში აანალიზებს დეტალურად ჯარიმების როლს და როგორ უნდა მოხდეს მათი გამოთვლა კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ბოლო მოვლენების და ევროპული მონაცემთა დაცვის რეგულაციის გათვალისწინებით. ანგარიში მტკიცედ ემხრობა წინადადებას, რომ მოხდეს ჯარიმის დაკავშირება კომპანიის ბრუნვასთან, რათა დავრწმუნდეთ, რომ არის ურთიერთკავშირი დარღვევის სახეს, კომპანიის სიდიდეს და მის ეკონომიკურ აქტივებს შორის.

მუხ. 37 საზოგადოებრივი დაცვა (ნუმერაცია)

ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობამ მიანიჭეს ასევე (!) მომხმარებელთა ორგანიზაციებს სასამართლოში გასვლის უფლება, რათა მათ შეძლონ

სასამართლოში აკრძალვის ქმედების მოთხოვნა იმ მოვაჭრის მიმართ, რომელიც არღვევს მომხმარებელთა კანონს.

ასეთი დამატებითი ინსტრუმენტი გაზრდის მომხმარებლის კანონის აღსრულების ეფექტურობას საქართველოში.

მუხ. 36 კანონის ამოქმედება (ნუმერაცია)

IV. დასკვნები და რეკომენდაციები

მთავარი გადაწყვეტილება: საქართველოს კანონმდებელი, როგორც ჩანს მზად არის რომ მოახდინოს ევროკავშირის სამართლის იმპლემენტირება მომხმარებელთა კოდექსში. ამას აქვს გავლენა გათვალისწინებულ მომხმარებელთა კოდექსსა და სსკ-ს შორის კავშირზე.

რა უნდა იქნას თავიდან აცილებული:

- 1) კანონმდებელმა უნდა გასწიოს დიდი ძალისხმევა, რათა არ მოხდეს კანონმდებლობის გაორება ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, მათი რამდენიმე კანონში გავრცელებით. თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა დარეგულირებულია სსკ-ით, ის ხელახლა არ უნდა გაჩნდეს მომხმარებელთა კანონპროექტში და/ან პროდუქტის უსაფრთხოების კანონში. ალტერნატივის სახით, ის მთლიანად უნდა იქნა ამოღებული სსკ-იდან,
- 2) სადაც ეს არ არის შესაძლებელი, როგორც ეს არის სამომხმარებლო ნასყიდობაში და არაკეთილსინდისიერ პირობებში, ნათელი უნდა იყოს, რომ სსკ ფორმირებას უკეთებს და არის სამომხმარებლო კოდექსის საფუძველი და რომ სამომხმარებლო კოდექსი იხრება სსკ-ისგან მომხმარებლის სასარგებლოდ. ეს მოითხოვს თანმიმდევრობას ორ კანონს შორის.

რა უნდა გაკეთდეს კანონპროექტის მიღებამდე:

- 1) უნდა მოხდეს კავშირის დაზუსტება მე-2 მუხლის მე-3 პუნქტსა და მე-2 მუხლის მე-4 პუნქტს შორის, პირებთან დაკავშირებით, რომლებსაც აქვთ საჯარო სახე, მაგრამ მიუხედავად ამისა, იქცევიან როგორც ბაზრის მოთამაშეები.
- 2) უნდა მოხდეს მოწყვლადი მომხმარებლის განმარტების დამატება მე-3 მუხლში

- J მე-4 მუხლში შემოღებულ უნდა იქნას მოვაჭრის პასუხისმგებლობა მომხმარებლის განსხვავებული შესაძლებლობების მხედველობაში მიღებასთან დაკავშირებით
- J დამხმარე ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების წესების შემოღება მე-13 მუხლში ან დამატებით მუხლში,
- J განიმარტოს 2 წლიანი პერიოდის იურიდიული ბუნება – გარანტიის პერიოდის ან ხანდაზმულობის – და თუ ეს არის ხანდაზმულობა, პერიოდის დასაწყისი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სსკ-ის წესებთან
- J უნდა განიმარტოს ქცევის კოდექსების როლი
- J მიანიჭოს მომხმარებელთა ორგანიზაციებს სასამართლოში წარდგენის უფლება, რათა მოითხოვონ აკრძალვები

გახსენების სახით:

შემდეგი ევროკავშირის რეგულაციების და დირექტივების იმპლემენტაცია ჯერ საერთოდ არ მომხდარა:

- J 2002/65 დირექტივა ფინანსური მომსახურებების დისტანციურ გაყიდვასთან დაკავშირებით (სავალდებულო ასოცირების შეთანხმების შესაბამისად)
- J 2008/48 დირექტივა სამომხმარებლო კრედიტის თაობაზე (სავალდებულო ასოცირების შეთანხმების შესაბამისად)
- J 2008/122 დირექტივა დროის განაწილებასთან დაკავშირებით სავალდებულო საქართველოსთვის ასოცირების შეთანხმების შესაბამისად (სავალდებულო ასოცირების შეთანხმების შესაბამისად)
- J 2013/11 დირექტივა დავის ალტერნატიულ გადაწყვეტასთან დაკავშირებით (on ADR) (არასავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებული)
- J 2014/17 დირექტივა იპოთეკის თაობაზე (არასავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებული)
- J 2014/65/EU დირექტივა MiFiD II და MiFIR რეგულაცია 600/2014 (არასავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებული)
- J 2014/92 დირექტივა გადახდის ანგარიშის თაობაზე (არასავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებული)
- J 2015/2302 დირექტივა პაკეტური ტურების თაობაზე (სავალდებულო ასოცირების შეთანხმების შესაბამისად წინამორბედ 90/314-ზე მითითებით)
- J 524/2013 რეგულაცია დავების ელექტრონულად გადაწყვეტის თაობაზე (არასავალდებულო, მაგრამ რეკომენდირებული)
- J 2006/2004 რეგულაცია (ახლა 2017/2394) თანამშრომლობა ტრანს სასაზღვრო აღსრულების თაობაზე (სავალდებულო ასოცირების შეთანხმების შესაბამისად)